INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tpdc.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 02 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

www.tpdc.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
47,62%
69,30%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
12,50%
40,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
46,67%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
30,77%
42,31%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
25,00%
29,80%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
100,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
60,00%
19,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%
150,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელობის შესახებ, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს. აგრეთვე არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება - „ცენტრის დირექტორი“.

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილეთა სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციათა და საკურატორო სფეროების აღწერა. აგრეთვე არ მოიძიება მოადგილეთა არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება - „მოადგილეები“.

2. ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული დანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი. ვებ-გვერდზე მოცემულია ცენტრის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

4. არ მოიძიება სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია და მისი მიზნების, საქმიანობის სფეროს და მოვალეობების დეტალური აღწერა (ცენტრის დებულებით განსაზღვრული მრავალი ფუნქციიდან ვებ-გვერდზე მოცემულია ერთადერთი):



ცენტრის შესახებ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმთავრესი მიზანია სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლების გზით.

2008 წლიდან ცენტრი თავის საქმიანობას ორი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებით ახორციელებს:
• მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარება;
• კვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი მომზადებისა და პროფესიაში შენარჩუნების ხელშეწყობა.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დამკვიდრებისა და მისი შემდგომი შენარჩუნების მიზნით, ხარისხის საერთაშორისო ISO-ს სტანდარტების მოთხოვნათა მიხედვით, ცენტრში შემუშავდა და დამტკიცდა „საქმიანობის ორგანიზების სახელმძღვანელო" და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტები. ხარისხის მართვისა და პროექტების განხორციელების მდგომარეობის შესასწავლად, ჩატარდა გარე აუდიტი, რის შემდეგაც ცენტრს 2008 წელს გადაეცა ხარისხის დამადასტურებელი ISO 9001:2000 სერტიფიკატი, რომელიც რეგისტრირებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის IQNET-SAI GLOBAL-ის მიერ. 2009 წელს ხელახალი საერთაშორისო აუდიტის შედეგად, ცენტრს მიენიჭა ISO 9001:2008 სერტიფიკატი.

პროექტების ინიცირების, დაგეგმვისა და მართვის პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო სისტემები. ცენტრში ფუნქციონირებს კორპორაციული ვებ-პორტალი და საქმიანობის ერთიანი მართვის საინფორმაციო სისტემა MS SHAREPOINT, რომელშიც ინტეგრირებულია ყველა მიმდინარე პროექტი, დავალება, პროექტების ანგარიშები, შუალედური და კვარტალური ანგარიშები, ცენტრის თანამშრომლებისა და პროექტებში მონაწილე პირთა მონაცემთა ბაზები, სიახლეები და სხვ.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე სრულიად არ მოიძიება ინფორმაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული სტრუქტურის შესახებ. მართალია, არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“, თუმცა მასში მოიძიება მხოლოდ ცენტრის სტრუქტურული ხე:

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ყველა მოქმედი სტრუქტურული დანაყოფის ჩამონათვალი;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

6. ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები, სტატისტიკური მონაცემები, ცენტრის გეგმებისა და პროგნოზების ამსახველი განცალკევებული (ქვე-)განყოფილება და შესაბამისი შიგთავსი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ცენტრის საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიშები, საქართველოს ორგანიზაციებთან პარტნიორობის შესახებ განცალკევებული (ქვე-)განყოფილება და შესაბამისი შიგთავსი *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილების „ვაკანსიები“ შიგთავსი თითქმის ცარიელია, მასში განთავსებულია ვაკანსიის მხოლოდ ერთი განცხადება.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სიახლეები'' არსებული ქვე-განყოფილება „ტენდერები“ და განყოფილებაში „პროგრამები'', ქვე-განყოფილებაში „მაძიებლობა“ არსებული ბმული სათაურად „სახელმძღვანელოები“ ცარიელია. აგრეთვე, განყოფილებაში „რესურსები“ არსებული ქვე-განყოფილება „კვლევები“ არ იხსნება:

7. ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია განყოფილებაში „ცენტრი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონტაქტი“, შესაბამისად მომხმარებლისათვის ცენტრის საკონტაქტო ინფორმაციის ძიების გაადვილების მიზნით სასურველია მოცემული ქვე-განყოფილება გამოტანილ იქნეს ცენტრის ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის () შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, და ცნობები დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ცნობები მოადგილის მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

9. ვებ-გვერდზე არ არსებობს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „წლიური ანგარიშები“.

11. სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები, ამასთან განყოფილებაში „ცენტრი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პარტნიორები“ ორგანიზაციათა შორის ურთიერთქმედების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ პარტნიორ ორგანიზაციათა ბმულებით:

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი.

13. სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „გეგმები“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. ვებ-გვერდზე მოყვანილი სამართლებრივი აქტების ბაზა საკმაოდ მწირია. ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია და ცენტრის დებულება მოცემულია ძველი მდგომარეობით. განყოფილებაში „რესურსები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად ,,კანონმდებლობა“,

მოყვანილი უმეტესობა საკანონმდებლო აქტისა მოცემულია ძველი მდგომარეობით. ამავე ქვე-განყოფილებაში მოცემული კანონქვემდებარე აქტების უმრავლესობა ასევე მოცემულია ძველი მდგომარეობით, ხოლო საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N 84 დადგენილება - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ არ არის წაკითხვადი. მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, აგრეთვე ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ცენტრის შინაგანაწესი. აღნიშნული აქტი სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე)განყოფილებაში:



ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÌÈÀÅÒÏÁÉÓ ÂÀÍÊÀÒÂÖËÄÁÀ
N 84 2004 ßËÉÓ 18 ÏØÔÎÌÁÄÒÉ Ø. ÈÁÉËÉÓÉ

¨ÆÏÂÀÃÉ ÂÀÍÀÈËÄÁÉÓ ÄÒÏÅÍÖËÉ ÌÉÆÍÄÁÉÓ¨ ÃÀÌÔÊÉÝÄÁÉÓ ÛÄÓÀáÄÁ

ÂÀÍÀÈËÄÁÉÓÀ ÃÀ ÌÄÝÍÉÄÒÄÁÉÓ Ó×ÄÒÏÛÉ ÄÒÈÉÀÍÉ ÓÀáÄËÌßÉ×Ï ÐÏËÉÔÉÊÉÓ ÂÀÔÀÒÄÁÉÓ ÖÆÒÖÍÅÄËÓÀÚÏ×ÀÃ, ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÂÀÍÀÈËÄÁÉÓÀ ÃÀ ÌÄÝÍÉÄÒÄÁÉÓ ÓÀÌÉÍÉÓÔÒÏÓ ßÀÒÃÂÉÍÄÁÉÈ, ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÊÏÍÓÔÉÔÖÝÉÉÓ 78-Ä ÌÖáËÉÓ 1-ËÉ ÐÖÍØÔÉÓÀ ÃÀ ¨ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÌÈÀÅÒÏÁÉÓ ÓÔÒÖØÔÖÒÉÓ, Ö×ËÄÁÀÌÏÓÉËÄÁÉÓÀ ÃÀ ÓÀØÌÉÀÎÏÁÉÓ ßÄÓÉÓ ÛÄÓÀáÄÁ¨ ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÊÀÎÍÉÓ ÌÄ-5 ÌÖáËÉÓ ¨Ð¨ ØÅÄÐÖÍØÔÉÓ ÛÄÓÀÁÀÌÉÓÀÃ:

1. ÃÀÌÔÊÉÝÃÄÓ ÈÀÍÃÀÒÈÖËÉ ¨ÆÏÂÀÃÉ ÂÀÍÀÈËÄÁÉÓ ÄÒÏÅÍÖËÉ ÌÉÆÍÄÁÉ¨.
2. ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÂÀÍÀÈËÄÁÉÓÀ ÃÀ ÌÄÝÍÉÄÒÄÁÉÓ ÓÀÌÉÍÉÓÔÒÌÎ ÆÏÂÀÃÉ ÂÀÍÀÈËÄÁÉÓ Ó×ÄÒÏÛÉ ÓÀÊÀÎÍÎÃÄÁÉÏ ÃÀ ÊÀÎÍØÅÄÌÃÄÁÀÒÄ ÎÒÌÀÔÉÖËÉ ÀØÔÄÁÉ ÛÄÉÌÖÛÀÅÏÓ ¨ÆÏÂÀÃÉ ÂÀÍÀÈËÄÁÉÓ ÄÒÏÅÍÖËÉ ÌÉÆÍÄÁÉÓ¨ ÛÄÓÀÁÀÌÉÓÀÃ.

სასურველია ქვე-განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 ივნისის NN389 ბრძანებულება.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

15. ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა ცენტრში მიღების წესის აღწერა.

16. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

17. ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილება „ტენდერები“ ცარიელია. სასურველია მოცემულ ქვე-განყოფილებაში მოყვანილი იქნეს ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ცენტრის მიერ განხორციელებული*

სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/tpdc_shesyidvebi.pdf)

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „ვაკანსიები“, სასურველია განთავსდეს ვაკანსიათა არქივი (წლების/კვარტლების მიხედვით), აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.* :

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/tpdc_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/tpdc_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული *და მისთ.*) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პროცესში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები თავს არიდებდნენ ინსტიტუტის ექსპერტებთან სატელეფონო კონტაქტისას არამარტო ზეპირსიტყვიერ თანამშრომლობას, არამედ ხშირ შემთხვევებში ზოგადად კონტაქტის დამყარებასაც.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
44,44%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
41,18%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
85,71%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
16,67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- ## ნავიგაცია

ვებ-გვერდის დათვალიერებისას, სხვა და სხვა მოდულები იცვლიან ადგილს, მაგალითად ამ შემთხვევაში დაიკარგა მარცხენა მენიუ:



გარდა ამისა, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე ძიება ჩანს, ხოლო სხვა გვერდებზე არ ჩანს. ასეთი გარემოს ცვლილებები ვებ-გვერდს არ უნდა ახასიათებდეს, რადგან რთულდება ნავიგაცია და იმის გარკვევა თუ სად რა მოდულია;

- ## მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ამოსაბეჭდ ვერსიებში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული საჯარო დაწესებულების სრული დასახელება და სიმბოლიკა:



➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმიდან წერილის გაგზავნის შემდეგ, არ გამოდის არანაირი შეტყობინება იმის შესახებ, რომ წერილი წარმატებით გაიგზავნა თუ ოპერაცია წარუმატებლად განხორციელდა:

➢ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში, ზოგიერთ კატეგორიაში ჩანს ქართული კონტენტი:



თუ შესაბამისი კატეგორიის ინგლისური თარგმანი არ არსებობს, უნდა ვებ-გვერდზე უნდა იყოს აღნიშვნა, რომ გვერდი არის მზადების პროცესში;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის რამოდენიმე გვერდზე გამოყენებულია BMP გაფართოების სურათები, ეს დიდი შეცდომაა, რადგან BMP სურათების ჩაატვირთვა ანელებს ვებ-გვერდის მოხმარებას, ხოლო რეალური შედეგი კი იგივეა რაც JPG სურათის გამოყენებისას;

ვებ-გვერდი აწყობილია მზად ვებ-გვერდისგან (JOOMLA ENGINE) რაც აშკარად ჩანს შემდეგი სურათიდან:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდზე დევს Youtube Channel-ის ღილაკი, რომელიც გადადის არასწორ გვერდზე:

ამ ღილაკის მეშვეობით მომხმარებელი უნდა გადავიდეს შესაბამისი საჯარო დაწესებულების Youtube Channel-ზე;

- **უსაფრთხოება**

რადგან ეს არის მზა ვებ-გვერდის მოდულზე აწყობილი ვებ-გვერდი, მარტივია ადმინისტრაციის გვერდის მოპოვება, ეს კი თავის მხრივ ზრდის ელექტრონულ რეს ურსზე კიბერ-შეტევის განხორციელების შანსს:

- **დამატებითი პარამეტრები**

ელექტრონულ რესურსზე არსებულ ცარიელ ან მზადების პროცესში მყოფ გვერდებზე, უნდა არსებობდეს ამის აღმნიშვნელი შესაბამისი წარწერა და ისინი არ უნდა იყოს წარმოდგენილი ცარიელი სივრცის სახით:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი აწყობილია მზა ვებ-გვერდის მოდულზე (JOOMLA), ამიტომ ზოგიერთ კატეგორიაში ჩნდება ისეთი დეტალები რაც ვერ გაითვალისწინეს პროგრამისტებმა, მაგალითად რუსული წარწერები, ადმინისტრაციის გვერდის მისამართის ადვილად მოპოვების საშუალება და სხვა დეტალები. ვებ-გვერდზე გასაკეთებელია საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია, დასახვეწია კატეგორიები, გადასთარგმნია რამოდენიმე კატეგორია, გასაუმჯობესებელია სოციალური კომპონენტი.